

## ტესტის სახელწოდება

ლითიუმი

### რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტი სისხლში ლითიუმის დონეს განსაზღვრავს.

ლითიუმი მედიკამენტია, რომელიც ბიპოლარული აშლილობისას ინიშნება. ბიპოლარულ აშლილობას ახასიათებს დეპრესიისა და მანიის პერიოდების მონაცვლეობა. დეპრესიული ეპიზოდის დროს გუნება-განწყობა და ცხოვრების მიმართ ინტერესი ქვეითდება, ჩნდება უიმედობის და უმწეობის განცდა, ასევე სუიციდური აზრები. მანიის ეპიზოდს ახლავს ეიფორიული განწყობა, ადვილად გაღიზიანებადობა და აგრესია, ენერჯის მომატება და ჰიპერაქტიურობა, განსჯის უნარის შესუსტება, სარისკო ქმედებები. ლითიუმი ბიპოლარული აშლილობისას გუნება-განწყობის «მასტაბილიზებელ» საშუალებად გამოიყენება. იგი ასევე შეიძლება დაინიშნოს ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც, მაგ. დეპრესიისას, როდესაც მხოლოდ ანტიდეპრესანტებით მკურნალობა არაეფექტური აღმოჩნდება.

ლითიუმი შედარებით ნელა მოქმედი მედიკამენტია – მისი ეფექტის განვითარებას რამდენიმე კვირა სჭირდება. ლითიუმის იმ ოპტიმალური დოზის ზედა და ქვედა საზღვრები, რომელიც თერაპიულ ეფექტით ხასიათდება და გვერდით ეფექტებს ნაკლებად იწვევს, მეტ-ნაკლებად განსხვავდება თითოეული პაციენტისთვის და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მაგალითად, ასაკზე, ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე, ა.შ. ამ ოპტიმალური დოზის დასადგენად, ლითიუმით მკურნალობის დაწყებისას, საჭიროა სისხლში მისი დონის რამდენჯერმე განსაზღვრა. უფრო დაბალი დოზით მიღების შემთხვევაში, მკურნალობა შედეგს ვერ გამოიღებს, ხოლო მაღალი დოზით მიღებისას კი, ლითიუმის ტოქსიკურობასთან დაკავშირებული სიმპტომები იჩენს თავს. ლითიუმის უკიდურესად მაღალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს თირკმელების უკმარისობა და სიკვდილი.

### რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ლითიუმით მკურნალობის დაწყებისას, ეს ანალიზი რამდენჯერმე ინიშნება ლითიუმის იმ დონის განსაზღვრისთვის, რომელსაც სამკურნალო ეფექტი ექნება. შემდგომში ლითიუმის ანალიზი შეიძლება პერიოდულად დაინიშნოს ლითიუმის დონის მონიტორინგისთვის, რათა გადამოწმდეს, რომ სისხლში მისი კონცენტრაცია სტაბილურად არის შენარჩუნებული საჭირო დონეზე.

აღნიშნულის გარდა, ლითიუმის ანალიზი შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაში, თუ ლითიუმით მკურნალობის მიუხედავად, პაციენტის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. ასეთ დროს, შესაძლოა სისხლში მისი დონე თერაპიულ კონცენტრაციაზე უფრო დაბალი იყოს.

მოცემული ანალიზი ასევე ინიშნება მაშინ, როდესაც პაციენტს ლითიუმით გამოწვეული ტოქსიკური გვერდითი ეფექტების არსებობა აღენიშნება, მაგ.: ძლიერი სისუსტე,

თავბრუსხვევა, კოორდინაციის დარღვევა, მოუსვენრობა, გულისრევა, ღებინება, დიარეა, კანკალი. მნიშვნელოვნად გამოხატული გვერდითი ეფექტების არსებობა შესაძლოა სისხლში ლითიუმის ტოქსიკურ კონცენტრაციას უკავშირდებოდეს.

ზოგჯერ ლითიუმის ანალიზი შეიძლება დაინიშნოს მაშინ, როდესაც პაციენტი ლითიუმის გარდა სხვა მედიკამენტების მიღებას იწყებს, რათა დადგინდეს მათი შესაძლო გავლენა სისხლში ლითიუმის კონცენტრაციაზე.

იმ პაციენტებს, რომლებიც ლითიუმს იღებენ, შეიძლება განუვითარდეთ ჰიპოთირეოიდიზმი, ამიტომ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მონიტორინგისთვის ხშირად TSH ანალიზსაც ნიშნავენ. ასევე შეიძლება საჭირო იყოს თირკმლის ფუნქციის მონიტორინგი, რადგან ლითიუმის ორგანიზმიდან გამოყოფა ძირითადად თირკმელების საშუალებით ხდება და შესაბამისად, მათი ფუნქციის დაქვეითება სისხლში ლითიუმის დონეს გაზრდის.

### **როგორ კეთდება ეს ტესტი?**

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

### **როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?**

ეს ანალიზი სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს, მაგრამ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როდის მოხდება სისხლის ნიმუშის აღება. ზოგადად, ამ ანალიზისთვის სისხლის აღება ხდება ლითიუმის ბოლო მიღებიდან 12 სთ-ის შემდეგ, თუმცა საჭიროა მკურნალ ექიმთან კონსულტაცია და ანალიზის აღების დროს დაზუსტება. ასევე აუცილებელია ტესტისთვის მოსამზადებლად მისგან შესაბამისი ინსტრუქციების მიღება, რადგან ლითიუმის ანალიზის შედეგებზე სხვადასხვა მედიკამენტმა შეიძლება იქონიოს გავლენა. ნებისმიერ შემთხვევაში, ანალიზის შედეგების სწორად ინტერპრეტირებისთვის, ცნობილი უნდა იყოს ანალიზამდე რამდენი საათით ადრე მოხდა ლითიუმის მიღება.

### **შედეგების ინტერპრეტაცია**

ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს.

როდესაც პაციენტი საჭირო რაოდენობით იღებს ლითიუმს, ბიპოლარული აშლილობის მართვა ადეკვატურად ხდება და მნიშვნელოვანი გვერდითი მოვლენებიც ნაკლებად იჩენს თავს. ოპტიმალურზე დაბალი დოზა სამკურნალო ეფექტს არ მოგვცემს, ხოლო ოპტიმალურზე მაღალი დოზა გვერდითი მოვლენების გამოიწვევს.

ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, ექიმმა შეიძლება გადაწყვიტოს ლითიუმის დოზის შემცირება ან გაზრდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მედიკამენტის დოზის შეცვლა მხოლოდ მკურნალი ექიმის მიერ უნდა მოხდეს და მისი თვითნებურად შეცვლა არ შეიძლება.